წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 27

ქ. წალკა; 10.10.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ";

2. საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების

პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“, რომელსაც ერთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის მომართვა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და წალკის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე ფერისცვალების სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების და შემდეგ პირდაპირი განკარგვის წესით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებლური ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. ბიურომ ღია კენჭისყრით (9 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე; ვინაიდან ქონების გადაცემის ინიციატივა არ ეკუთვნის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ქონების მმართველს, არ იქნეს დაწყებული განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (9 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას სხდომაზე განიხილოს ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარმოადგინოს საკრებულოს ბიუროს მ/წლის 24 ოქტომბრის მორიგი სხდომისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*